ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №450087

ნომერი: AR187395

თარიღი : 25.10.2012

გაცემის თარიღი : 26.12.2012

გაცნობის თარიღი : 28.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/073) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უტა მაზიაშვილი პ/ნ 01026001199
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: №376250
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.10.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "პარალელი"
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კრისტოფ კოლი

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404929039

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: უტა მაზიაშვილი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "სანი"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026001199
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406033983

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 68.75
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 13200.5 კვ.მ კ2=8.0
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1642.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 46201.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 61.15
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.85
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 60170.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 2761.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 17619.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 175.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2634.8
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 10090.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1076.6 კვ.მ კ1=0.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 165 კვ.მ კ3=0.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1482.4
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1076.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 13969.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 474.5

- .ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N882012031311, 25.01.2012 წ. საკადასტრო კოდი N01.15.03.010.073);
- .გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი N18, 11.05.12 წ.;

- .ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი N18, 11.05.12 წ.;
- .ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 25 მაისის N6–19 გადაწყვეტილება;
- .ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი N38, 26.09.12 წ.;
- .ქ. თბილისის მერის 2012 წლის 5 ოქტომბრის N2883 განკარგულება;
- .გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი N44, 30.10.12 წ.;
- .ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 19.11.12 წლის N QN190689, 20.11.12 წლის N QN190911, 26.11.12 წლის N QN194093 გადაწყვეტილებები;
- .შ.პ.ს. "სანი"–ს დირექტორის რამინ სამხარაძის მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N111264947, 16.11.11 წ.);
- .ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მარტივი ადმინისტრციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი No–474, 24.12.12 წ.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას ქ. N43 (ნაკვ. N10/073)–ში, შ.პ.ს. "სანი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 29 დეკემბრიდან 2015 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ–2) გადამეტებისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების (ქალაქ თბილისის მერის 05.10.12 წლის N2883 განკარგულება) მოსაკრებელი გადახდილ იქნეს, წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად და არაუგვიანეს ექსპლუატაციაში მიღებისა;
5. ამ ბრძანების მე–4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.
6. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:
6.1 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
6.2 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად;
6.3 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე–საძირკვლისაგან;
6.4 სავალდებულო საექსპერტო შეფასებების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N 57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;
მშენებლობის ეტაპები: მოსამზადებელი სამუშაოები; არსებული შენობების დემონტაჟი; დაკვალვა და სამშენებლო მოედნის მომზადება; ქვაბულის დამუშავება და საძირკვლის მოწყობა; მიწისქვეშა სართულების (სარდაფი) ძირითადი კონსტრუქციული სქემის მოწყობა; ნულოვანი ციკლის დასრულება; შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა; სახურავის მოწყობა; შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; სამუშაოების დასრულება და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.